ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #3

19 მაისი 2022 წელი

ქ.ბაღდათი 12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
გურამი კიკნაველიძე
მაია კბილაშვილი
სიმონ ჭოლოკავა
ბიძინა ჯაბიძე
ნინო კვირიკაძე
ნინო ფურცელაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძე, ამავე სამსახურის წარმომადგენელი: ნანა შოთაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილის თანაშემწე: მარიამ მაშანეიშვილი
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი: ლელა ფურცელაძე, ამავე სამსახურის წარმომადგენლები: მაკა გაბარაშვილი, ნანა მინაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი თვითმმართველობის საკითხებში: გია თავაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების 2021 წლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

   მომხს: მარეხი მშვენიერაძე

   თანამომხსენებელი: ლელა ფურცელაძე

2. საგანმანათლებლო რესურსცენტრის და ზოგადად საგანმანათლებლო საჯარო სკოლებში არსებული და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია

   მომხს: მარიამ თევდორაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების 2021 წლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი: ლელა ფურცელაძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ განაცხადა, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეჭირვებული ოჯახების ხელშეწყობის მიზნით ტექნიკით კერძოდ სარეცხი მანქანით დავეხმარეთ სამ ოჯახს ასევე ორი ოჯახში მოხერხდა წყლის კომუნიკაციის ქსელის გამართვა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ მისაღებია ეს პროგრამა რომელიც გვაძლევს საშუალებას დავეხმაროთ შეჭირვებულ ოჯახებს და დარწმუნებული ვარ რომ ეს ოჯახები პასუხისმგებლობით მოეპყრობიან ჩვენს მიერ შეძენილ ტექნიკას თუ სხვა საშუალებებს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების 2021 წლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების 2021 წლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ შეაფასა კომისიამ დადებითად

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 7 **წინააღმდეგი: 0**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: საგანმანათლებლო რესურსცენტრის და ზოგადად საგანმანათლებლო საჯარო სკოლებში არსებული და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი: მარიამ თევდორაძემ

კომისიის წევრი: ნინო კვირიკაძემ კითხვით მიმართა მარიამ თევდორაძეს, არიან ბავშვები, რომლებსაც აქვთ დაავადებები და არ აქვთ სტატუსი, რა ხდება ამ შემთხვევაში

ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი: მარიამ თევდორაძემ განაცხადა, ეს მკვეთრი დაავადებები უნდა იქნეს ექიმის მიერ შეფასებული და მათ უნდა მოგვაწოდონ ინფრომაცია ამ დაავადებების შესახებ

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილმა განცხადა, რომ ეს დღის ცენტრი კარგი იქნება მაგრამ რომელ საათებში ისაგრებლებენ ბავშვები ამ ცენტრით

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განცხადა, რომ დღის ცენტრი იმუშავებს და ბავშვებს მიიღებს სკოლის შემდგომ საათებში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საგანმანათლებლო რესურსცენტრის და ზოგადად საგანმანათლებლო საჯარო სკოლებში არსებული და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია მიიღო ცნობის სახით

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი